



სსიპ - დავით აღმაშენებლის სახელობის  
საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემია

სსიპ-დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს  
ეროვნული თავდაცვის აკადემიის  
აკადემიური პერსონალის აფილირების წესი

გორი 2018წ.

## **მუხლი 1. რეგულირების სფერო**

1. წინამდებარე წესი არეგულირებს სსიპ - დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემიის (შემდეგში – აკადემია) აკადემიური პერსონალის აფილირების წესსა და პირობებს, ადგენს აფილირებასთან დაკავშირებით აკადემიური პერსონალის და აკადემიის უფლებებსა და მოვალეობებს.
2. წინამდებარე წესით დადგენილი პროცედურები გამჭვირვალეა და ინფორმაცია მისი თითოეული ეტაპის შესახებ ღია, ხელმისაწვდომი და ადვილად აღქმადია დაინტერესებულ პირთათვის.

## **მუხლი 2. ტერმინთა განმარტება**

1. ამ წესში გამოყენებულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:
  - ა) **აფილირება** – წინამდებარე წესის მიზნებისათვის, აკადემიასა და აკადემიური თანამდებობის მქონე პირს შორის წერილობითი შეთანხმება (აფილირების ხელშეკრულება), რომლითაც თითოეული აკადემიური თანამდებობის მქონე პირი განსაზღვრავს თავის აფილირებას მხოლოდ აკადემიასთან;
    - ა.ა) აკადემიის სახელით მონაწილეობს საზოგადოების განვითარებისა და ცოდნის გაზიარების პროცესებში;
    - ა.ბ) აკადემიაში ახორციელებს ძირითად საგანმანათლებლო, კვლევით/სამეცნიერო საქმიანობას, ხოლო მისი კვლევის შედეგები ეთვლება აკადემიას;
    - ა.გ) აქტიურად არის ჩართული აკადემიაში საგანმანათლებლო, კვლევით და სხვა მნიშვნელოვან საკითხებთან დაკავშირებით გადაწყვეტილების მიღების პროცესებში;
    - ა.დ) აქტიურად არის ჩართული იუნკერებისთვის კონსულტაციების გაწევისა და აკადემიური/სამეცნიერო ხელმძღვანელობის პროცესებში.
  - ბ) **აფილირებული აკადემიური პერსონალი** – აკადემიური თანამდებობის მქონე პირი, რომელსაც აკადემიასთან წერილობით გაფორმებული აქვს აფილირების ხელშეკრულება;
  - გ) **აფილირების ხელშეკრულება** – წერილობითი შეთანხმება, რომელიც გაფორმებულია აკადემიასა და მის აკადემიურ თანამდებობაზე მყოფ პირს შორის და განსაზღვრავს მხარეების უფლება-მოვალეობებს აფილირებასთან დაკავშირებულ საკითხებში.

## **მუხლი 3. აფილირებასთან დაკავშირებული პირობები და პროცედურები**

1. აკადემიურ თანამდებობაზე კონკურსში გამარჯვებული პირი/ხელშეკრულების გაფორმებამდე ვალდებულია აკადემიასთან გააფორმოს აფილირების ხელშეკრულება (იხ.დანართი N1).
2. აფილირება შესაძლებელია აკადემიური თანამდებობის მქონე პირის შრომითი ხელშეკრულების მოქმედების ვადით.
3. აფილირებული პირი ასრულებს ყველა იმ მოვალეობას და სარგებლობს ყველა იმ უფლებით, რომელიც აკადემიაში დადგენილია შესაბამისი აკადემიური თანამდებობისთვის.
4. აკადემია აკადემიური და მოწვეული პერსონალის განვითარების მიზნით ახორციელებს სხვადასხვა ღონისძიებებს: ტრენინგები, სამუშაო მივლინებები, კვალიფიკაციის ასამაღლებელი კურსები, კონფერენციები, გაცვლითი, საერთაშორისო და/ან

ადგილობრივი პროექტები, რომლებიც ემსახურება პროფესიულ და/ან სწავლების უნარის განვითარებას;

5. აფილირებული პირებისადმი მოქმედებს შემდეგი წესები თითოეულ შემთხვევაში აკადემიის აკადემიური საბჭოს მიერ განსაზღვრული მიზანშეწონილობის გათვალისწინებით :

ა) აკადემია აფინანსებს (სრულად/ნაწილობრივ) აფილირებული პირის მიერ აკადემიის სახელით გამოსაცემად მომზადებულ სახელმძღვანელოს/მეთოდურ მასალას და გამოსაქვეყნებლად მომზადებულ სტატიას/პუბლიკაციას;

ბ) აფილირებული პირის მიერ აკადემიის სახელით საერთაშორისო ფორუმებში/კონფერენციებში მონაწილეობის შემთხვევაში აკადემია აფინანსებს (სრულად/ნაწილობრივ) შესაბამის ხარჯებს.

გ) აკადემია აფინანსებს (სრულად/ნაწილობრივ) აფილირებული პირის პროფესიულ და/ან სწავლების უნარის განვითარების მიზნით განხორციელებულ ღონისძიებებს;

დ) აკადემიის სახელით საერთაშორისო ფორუმებში/კონფერენციებში აფილირებული პირის მიერ მომზადებული იუნკერის მონაწილეობის შემთხვევაში აკადემია აფინანსებს (სრულად/ნაწილობრივ) შესაბამის ხარჯებს.

#### **მუხლი 4. აფილირების გაუქმების წესი და პირობები**

1. აფილირება შეიძლება გაუქმდეს შემდეგ შემთხვევებში:

ა) შრომითი ხელშეკრულების შეწყვეტის შემთხვევაში;

ბ) აკადემიის გადაწყვეტილებით აფილირების გაუქმების შესახებ აფილირებული პირის მიერ წინამდებარე წესში მითითებული პირობების ან/და ინდივიდუალური ყოველწლიური დატვირთვის მოთხოვნების დარღვევის/შეუსრულებლობის ან/და ატესტაციის მოთხოვნებთან შეუსაბამობის მიზეზით.

სსიპ-დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნულ თავდაცვის აკადემიასთან აკადემიური პერსონალის აფილირების ხელშეკრულება

ხელშეკრულების მოქმედების პერიოდი \_\_\_\_\_

### 1. მხარეები:

ერთი მხრივ:

სსიპ-დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემია (შემდგომში აკადემია)

მეორე მხრივ:

-----პირადი ნომერი----- (შემდგომში აფილირებული პირი - (პროფესორი/ასოცირებული პროფესორი/ასისტენტი - პროფესორი/ასისტენტი) ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

### 2. ხელშეკრულების საგანი

ეს ხელშეკრულება როგორც მხარეთა შორის არსებული შრომითი ხელშეკრულების ნაწილი, აწესრიგებს აკადემიასა და აფილირებულ პირს შორის შრომით - სამართლებრივი ხასიათის ურთიერთობას აკადემიური პერსონალის აკადემიასთან აფილირების პერიოდით.

### 3. აფილირების წესი და პირობები

1. აფილირების ცნება განიმარტება მოქმედი კანონმდებლობისა და სსიპ დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემიის აკადემიური პერსონალის აფილირების წესის შესაბამისად და გულისხმობს აფილირების შეთანხმების მოქმედების პერიოდში აკადემიური პერსონალის სასწავლო და სამეცნიერო მუშაობას აკადემიის ფარგლებში და აკადემიის სახელით.

2. დასაქმებულის მიერ შესასრულებელი სამუშაო მოიცავს „აკადემიური პერსონალის დატვირთვის წესისა და აკადემიური პერსონალის ინდივიდუალურ სემესტრული დატვირთვის სქემის დამტკიცების შესახებ“ სსიპ - დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემიის აკადემიური საბჭოს დადგენილებით (№ MOD 2 18 00211096) განსაზღვრულ მოცულობას.

3. შეთანხმების აქტის მოქმედების პერიოდში სხვა უსდ - სთან აფილირება არ დაიშვება.

4. აფილირების პირობების შეცვლა ან გაუქმება შესაძლებელია მხარეთა შეთანხმებით. ცალმხრივად აფილირების პირობების შეცვლა დასაქმებულს შეუძლია მეორე მხარისთვის წინასწარი წერილობითი შეტყობინების გზით, შეცვლამდე არანაკლებ 30 კალენდარული დღით ადრე. ყველა სხვა შემთხვევაში აფილირების პირობების შეცვლა მოიაზრება შრომითი ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების დარღვევად.

5. აფილირების ვადის გასვლის შემდგომ აფილირების პერიოდში შექმნილი კვლევითი/სამეცნიერო/შემოქმედებითი/საშემსრულებლო პროდუქცია რჩება აკადემიის სახელით გამოცემულის/შესრულებულის სტატუსის მქონედ.

წინამდებარე ხელშეკრულების პირობებზე შეთანხმების დასადასტურებლად ხელშეკრულებას ხელს აწერენ:

ეროვნული თავდაცვის აკადემიის რექტორი

აფილირებული პირი